ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbilisikrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრის,
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

თედო ისაკაძის

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

(14.11.2017-30.10.2018)

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის“ (დანართი 2) შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია:

- 2017 წლის 14 ნოემბრიდან მეექვსე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- 2017 წლის 8 დეკემბრიდან დღემდე საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი;
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 და ბიუროს 28 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 127 დადგენილება და 397 განკარგულება. მათ შორის:

- **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება (15.12.17). საბოლოოდ, დადგენილებაში რამდენჯერმე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თბილისის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 916 863 600 ათასი ლარით, რაც 73 729 100 ათასი ლარით მეტია წინა წლის ბიუჯეტზე.**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესს (საკრებულოს სხდომა: 10.07.18, 27.07.18).**

  განხორციელებული ცვლილების თანახმად, ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული უნდა იყვნენ თბილისის მერიის ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურები.

  წინასაპროექტო კვლევას თან უნდა ერთვოდეს დაგეგმილი გამწვანების პროექტი, მიწის ნაკვეთ(ებ)ზე არსებული მწვანე ნარგავების დეტალური აღწერა

და მათი ხარისხობრივი შეფასება. სატრანსპორტო ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით და ზეგავლენის შეფასებით არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურაზე, თუ საპროექტო ტერიტორიის ფართი აღემატება 5000 კვ.მ.-ს (გარდა საგამონაკლისო ობიექტებისა).

- **დადგენილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს სხდომა: 09.02.18).**

  მოცემული წესის საფუძველზე, შეიქმნება ამხანაგობების ასოციაცია, რომელსაც დაეკისრება ვალდებულება საერთო კრების ოქმით განსაზღვროს ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციის და განვითარებისათვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ოდენობა, რომლის შეტანაც განხორციელდება ამხანაგობის ანგარიშზე. შენატანის ოდენობა დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების 10%-ს უნდა შეადგენდეს. ძველი წესისგან განსხვავებით, გამგეობის მიერ სრულად, 100%-ით მოხდება ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება. სამუშაოებს შეასრულებს ტენდერის მეშვეობით შერჩეული კომპანია. კომპანიის მიერ განხორციელებული სამუშაოების ხარისხს შეამოწმებს შპს „ლაბორატორია“.

- **ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ მიღებული იქნა არაერთი გადაწყვეტილება, რომელთა საფუძველზეც, პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება. საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების საფუძველზე, ზ/ა პროცედურის დაცვით, ქონება საკუთრებაში გადაეცათ:**

  - ✓ ცაიშის ქ. 36-ში მცხოვრებ 27 ოჯახს (24.04.17)
  - ✓ კახეთის გზატკეცილი N 89-ში მცხოვრებ 17 ოჯახს (26.01.18);
  - ✓ ფონიჭალის დასახლებაში, მე-4 მრ, კორპ.11-ში მცხოვრებ 32 ოჯახს (30.03.18);
  - ✓ სამგორის ქ.16-ში მცხოვრებ 18 ოჯახს (25.05.18)
  - ✓ გარდაბნის გზატკეცილი 24ა-ში მცხოვრებ 27 ოჯახს (29.06.18);
  - ✓ წყნეთის გზატკეცილი №4 და №5 -ში მცხოვრებ 136 ოჯახს (10.07.18);
  - ✓ და სხვ.

- **მიღებული იქნა დადგენილებები ქალაქ თბილისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - მიწის ნაკვეთების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისა და უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. აღნიშნული საფუძვლით განხორციელდა:**

  - ✓ მარიჯანის ქუჩაზე 3788 კვ.მ ფართის გადაცემა 10 პირზე (25.05.18);
  - ✓ დ.თავდადებულის ქ. კორპ.2-ის მიმდებარედ 5496 კვ.მ ფართის გადაცემა 17 პირზე (25.05.18);
  - ✓ სხვა.

მნიშვნელოვანია, ასევე საკრებულოს მიერ მიღებული ის სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც, დედაქალაქში რამდენიმე საკადასტრო ერთეულზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა.

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მასზე გარკვეული პირობით საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით. გამარჯვებულ პირს ეკისრება ვალდებულება, რომ საცხოვრებელი ბინების გარკვეული ოდენობა გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართები საკუთრების უფლებით დაურეგისტრირდებათ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ წარმომადგენლებსა თუ უფლებამონაცვლეებს.

აღნიშნული წესით, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა:

- ✓ ნუცუბიძის ფერდობის მესამე მიკრო რაიონის მესამე კვარტალში, წყალსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 12 223.00 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცეს საცხოვრებელი ფართის არანაკლებ 7 000 კვ.მ (02.10.18);
- ✓ დიდი დიღმის მეოთხე მიკრო რაიონის N25 კორპუსის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6 122 კვ.მ და 11 774 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთებზე. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის

ვალდებულებას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცეს 1860 კვ.მ. და 3580 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. (10.08.18).

ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“:**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს 33 სხდომა, სადაც მსჯელობა წარიმართა როგორც საკრებულოს სხდომებზე განსახილველ, ისე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მათ შორის, განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: საკრებულოს კომისიების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი, დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები, მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები, მუნიციპალიტეტში მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია და სხვა.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია:**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 30 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 177 საკითხი. განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 137 ცვლილება, ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 46 პროექტი (39 დადებითი, 4 უარი, 3 გადადებულია დამატებითი შესწავლის მიზნით).

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია შეიქმნა და საკრებულოს რეგლამენტით/კომისიის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელება დაიწყო 2017 წლის 8 დეკემბრიდან.

სატრანსპორტო საკითხთა კომისია უფლებამოსილების ფარგლებში, აქტიურად არის ჩართული დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულების მოწესრიგებასა და სრულყოფაში.

კომისია მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

1. დედაქალაქში სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის დაგეგმვა;

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფის და დგომა/გაჩერების წესების რეგულირება;

3. მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

4. ქვეითთა მოძრაობის ორგანიზების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები;

5. ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტების შემუშავება;

6. და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით ქვეპროგრამისათვის ,,ტრანსპორტის განვითარება“ (კოდი: 01 02) გათვალისწინებულია 61 539 600 ლარი. მათ შორის:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01) - 12 975 300 ლარი;

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02) - 31 221 100 ლარი;

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03) - 5 872 000 ლარი;

- საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02 08) - 7 471 200 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 19 სხდომა, განხილული იქნა 40 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი **(კომისიის სხდომა: 26.01.18),** რომლის მიხედვითაც, ნებართვების მფლობელებს დაევალათ საკრებულოს მიერ ქუჩებზე ავტობუსების გაჩერებების ადგილების განსაზღვრის შემთხვევაში, მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების გაჩერების უზრუნველყოფა მხოლოდ მოცემულ გაჩერებებზე.

  მოგვიანებით **(კომისიის სხდომა: 16.02.18),** განხილული იქნა დადგენილებების პროექტები, რომელთა მიხედვითაც, განისაზღვრა თბილისის 14 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსები (მ.შ.რუსთავი-თბილისის ხაზზე მოძრავი მიკროავტობუსები) მგზავრების ჩამოსმა-აყვანის მიზნით გაჩერებას შეძლებენ მხოლოდ გაჩერებებზე (სულ: 239 გაჩერება).

  წარმოდგენილი რეგულაცია ამოქმედდა 2018 წლის 1 მარტიდან და გავრცელდა შემდეგ 14 ქუჩაზე - მერაბ კოსტავას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, შოთა რუსთაველის გამზირი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ხეივანი, დავით აღმაშენებლის გამზირი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, ჟიული შარტავას ქუჩა, პეკინის ქუჩა, მარშალ არჩილ გელოვანის გამზირი, ჯორჯ ბუშის ქუჩა, კახეთის გზატკეცილი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი, რომლის მიხედვითაც, 31 221,1 ათასი ლარით გაიზარდა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის

ქვეპროგრამა (კოდი 01 02 02). თანხა განკუთვნილი იყო ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ევრო სტანდარტების მქონე ავტობუსების შესაძენად **(კომისიის სხდომა: 16.02.18).**

აღსანიშნავია, რომ ახალი ავტობუსების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში კომპანია „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ გაიმარჯვა. გამარჯვებული კომპანიის მიერ 90 ავტობუსის შემოყვანა ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 თვის ვადაში იქნება უზრუნველყოფილი. პროექტის ღირებულება 45 მლნ. ლარს შეადგენს. 2018-2019 წლებში არსებული ავტობუსები სრულად ჩანაცვლდება ახლით. უახლოეს პერიოდში 220 ავტობუსის შეძენაზე ახალი ტენდერი გამოცხადდება.

მეტროსადგურებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გაიხსნა ახალი მეტროსადგური ,,უნივერსიტეტი“. 2018 წლის სექტემბრიდან, მეტროს ,,ახმეტელის თეატრი“ - ,,ვარკეთილის“ ხაზზე ახალი, სამი ოთხ ვაგონიანი შემადგენლობა დაემატა, ხოლო, საბურთალოს ხაზს, ერთი სამ ვაგონიანი შემადგენლობა. შედეგად, მეტროში მოცდის პერიოდი სამ წუთამდე შემცირდა.

- ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის გრანტის შესახებ საკითხი **(კომისიის სხდომა: 01.03.18).** უფრო კონკრეტულად, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ მოხდა 490 000 (ოთხას ოთხმოცდაათი ათასი) ევროს ოდენობით გრანტის გამოყოფა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად. პროექტის განსახორციელებლად, დედაქალაქის ბიუჯეტიდან დამატებით 300 000 (სამასი ათასი) ევრო გამოიყო.

  მოცემული გრანტის მეშვეობით, საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული ფრანგული კომპანია „სისტრა“ ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის დეტალურ გეგმას შეიმუშავებს. კომპანიამ დოკუმენტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვეში უნდა წარმოადგინოს. პროექტის დაწყებიდან 5 თვის თავზე, კომპანიამ უნდა წარმოადგინოს რესტრუქტურიზებული ავტობუსების სქემა. მე-2 ეტაპზე მოხდება ოფიციალური სქემის შემუშავება და ტარიფების ინტეგრირება. ბოლო ეტაპი ეძღვნება კერძო ოპერატორებთან ურთიერთობას, თბილისის მერიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას.

ხელშეკრულების ფარგლებში, „სისტრამ“ თითოეული მარშრუტი რუკების, მარშრუტზე მოძრავი ავტობუსების რაოდენობის, გაჩერებების განრიგის, გადაჯდომის არეალების, ფეხით სავალი მანძილებისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უნდა წარმოადგინოს.

ავტობუსების და მიკროავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და მეტროსთან მულტიმოდალური ინტეგრაციის შედეგად, შემცირდება მგზავრობის დრო და საცობები, გადახდის სისტემა გახდება ინტეგრირებული (მეტრო/მიკროავტობუსი/ავტობუსი), ტრანსპორტი არ იქნება გადატვირთული.

- „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 280 000 (ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ოდენობით გრანტის შესახებ საკითხი **(კომისის სხდომა: 30.03.18).**

  2016 წლის მაისში, „თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში საქართველოსა და EBRD-ს შორის გაფორმდა სასესხო და საგრანტო შეთანხმება, EBRD-ს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა მხარდაჭერის ხელშეკრულება, ხოლო EBRD-ს და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის გაფორმდა პროექტის განხორციელების ხელშეკრულება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, უკვე განხორციელდა ახალი ავტობუსების შესყიდვა EBRD-ს მიერ გამოყოფილი სესხითა და გრანტით. ასევე, პროექტის ფარგლებში გამოყოფილია გარკვეული საგრანტო რესურსი კომპანიის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისთვის. მათ შორის არის „კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამა“, რომლის განხორციელებისთვის EBRD-ს მიერ მოძიებულია დონორი ორგანიზაცია და გამოყოფილია გრანტი 280,000.00 (ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ოდენობით. აღნიშნული გრანტის ათვისების მიზნით, EBRD-ს მიერ გამოცხადებული იქნა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა საკონსულტაციო ჯგუფი Mott Macdonald CZ, spol. S.r.o.

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილებების პროექტები, რომელთა მიხედვითაც ავტობუსების და მიკროავტობუსების მოძრაობის მარშრუტებს დაემატა ახალი მიმართულებები, ასევე რიგ მიმართულებებს დაემატა მოძრავი შემადგენლობები **(კომისიის სხდომები: 22.12.17; 12.06.18, 25.09.18).**

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურეობა, ხოლო რიგ შემთხვევებში, შემცირდა მარშრუტზე დროის დანახარჯი.

- უმნიშვნელოვანესია მსუბუქი ავტომობილის-ტაქსის (M1 კატეგორია) შესახებ კომისიის სხდომებზე განხილული და მხარდაჭერილი დადგენილებების პროექტები **(კომისიის სხდომები: 27.07.18, 11.10.18; ჯამში 3 დადგენილება).** წარმოდგენილი დადგენილებების საფუძველზე:

  - ✓ დადგინდა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი, ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე და თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, განისაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით, ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო ის ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ძრავის მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია, გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან გათავისუფლდნენ 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

  - ✓ 2018 წლის 1 ოქტომბრიდან მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) შესაბამისი ნებართვის გარეშე გადაყვანის მომსახურების განხორციელება იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

  - ✓ 2019 წლის 1 ოქტომბრიდან გაიცემა ,,A“ და ,,B“ კატეგორიის ნებართვები;

- ✓ ,,A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს თეთრი ფერის, მარცხენასაჭიანი, 5 კარიანი და თვითმმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული ვიზუალის მქონე ავტომანქანით. ნებართვის მფლობელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას გამოიყენოს მხოლოდ ის მანათობელი ნიშანი, რომელიც გადაეცემა ნებართვის გამცემის მიერ და განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილის (სახურავის) შუა ადგილზე. ასევე, ნებართვა განათავსოს სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას, ხოლო რეკლამის განსათავსებლად გამოიყენოს ასევე თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ადგილები.

- ✓ ,,B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს მარცხენასაჭიანი და 5 კარიანი სატრანსპორტო საშუალებით, რომელშიც ნებართვა უნდა განათავსოს თვალსაჩინო ადგილას. მოცემული კატეგორიის ნებართვის მფლობელს ეკრძალება მგზავრის ქუჩიდან აყვანა.

- ✓ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელი, ხოლო 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი გათავისუფლდა პარკირების საფასურის გადახდისგან, მხოლოდ ტაქსისთვის განკუთვნილი სპეციალური პარკირების ადგილზე პარკირებისას.

აქვე აღსანიშნავია, რომ სურვილის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელებს, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე და გავლილი აქვთ ტექ. დათვალიერება, გადაეცემათ ვაუჩერი ავტომანქანის შეღებვისა და ქიმიური წმენდის ჩასატარებლად. მოცემულ პროცედურებს, ტაქსებზე რეკლამის განთავსების სანაცვლოდ, ტენდერის საფუძველზე სპეციალურად საამისოდ შერჩეული კომპანიები განახორციელებენ.

ნებართვის მფლობელები გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან.

30 ოქტომბრის, 13.00 საათის მდგომარეობით, გაცემულია 20, 673 ნებართვა.

11 ოქტომბრის მდგომარეობით, ნებართვა გაიცა 4 979 ჰიბრიდულ ავტომობილზე და 19 ელექტრო ავტომობილზე. აქედან, ქალი მძღოლების რაოდენობა იყო 54.

რაც შეეხება ტაქსისთვის განკუთვნილ სპეციალურ პარკირების ადგილებს, დახაზვითი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ჯამში, დედაქალაქის მასშტაბით შერჩეულ იქნა 247 ადგილზე გათვლილი 86 ლოკაცია.

საანგარიშო პერიოდში შედგა შემდეგი სახის სამუშაო შეხვედრები:

1. 2018 წლის 1 თებერვალი - სამუშაო შეხვედრა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე აზიის განვითარების ბანკის ექსპერტმა, მარკ სელინმა თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა;

2. 2018 წლის 15 თებერვალი - გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სატრანსპორტო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან;

3. 2018 წლის 22 თებერვალი - თბილისის ტერიტორიაზე გამოვლენილ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ოპერატიული რეაგირების პროგრამის პრეზენტაცია;

4. 2018 წლის 23 თებერვალი - სამუშაო შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, ტრანსპორტის სფეროში არსებულ ვითარებაზე;

5. 2018 წლის 27 თებერვალი - შეხვედრა შპს ,,თბილისის მიკროავტობუსი“-ს ხელმძღვანელობასთან და ინფორმაციის მოსმენა კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე;

6. 2018 წლის 1 მარტი - შეხვედრა შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებათან;

7. 2018 წლის 20 მაისი - კომპანია ,,ფრეგობასის“ პრეზენტაცია სატესტო ელექტრო ავტობუსების შესახებ;

8. 2018 წლის 22 მაისი - კომპანია ,,სისტრას“ პრეზენტაცია თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი და განსახორციელებელი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

9. 2018 წლის 3 ივლისი - სამუშაო შეხვედრა არქიტექტორებთან.

დაიგეგმა ან/და შედგა სხვა სახის აქტივობები:

1. 2018 წლის 3 მარტი - დედაქალაქის ყველა რაიონში, თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის წარმომადგენლების მონაწილეობით, სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგი განხორციელდა;

2. 2018 წლის 15 მაისი - თბილისის მეტროს საბურთალოს ხაზზე განახლებული მოძრავი შემადგენლობების ადგილზე დათვალიერება და მოდერნიზაციის პროცესის გაცნობა;

3. 2018 წლის 30 მაისი - კომპანია „ფრეგობასის“ პირველი ელექტროავტობუსის ტესტირება;

4. 2018 წლის 9 ივლისი - თბილისში ბიოდიზელის პირველი საწარმოს გახსნის ღონისძიება;

5. 2018 წლის 11 ივლისი - ტაქსების კომპანიების წარმომადგენლებსა და სატრანსპორტო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია);

6. 2018 წლის 17 ივლისი - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების საკითხზე ორგანიზებული გასვლითი სამუშაო შეხვედრა (გუდაური);

7. 2018 წლის 24 ივლისი - თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია;

8. 2018 წლის 27 ივლისი - კოსტავასა და შარტავას ქუჩების ახალი სატრანსპორტო სქემის პროექტის პრეზენტაცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია);

9. 2018 წლის 22 ოქტომბერი - „მწვანე პოლიტიკა - ეკოტრანსპორტის“ პრეზენტაცია.

ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ:

დაიგეგმა და შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან). თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება.

ასევე, სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა.

პატივისცემით,

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე